ქართული ენა

I კლასი

მოსწავლის წიგნი

ქართული ენა – I კლასი

მოსწავლის წიგნი

გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი, 2023 წელი

ISBN

1 პირველი დღე სკოლაში

2 ჩვენი გაკვეთილები




1+1=

3 კლასელები

4 ჩემი ოჯახი

5 ოჯახის განსხვავებული წევრები

ძაღლი

შინშილა

თუთიყუში

კატა

ზღვის გოჭი

კურდღელი

6 სიკეთე და ბოროტება ზღაპრებში

ჩვენი სახელმძღვანელოს პირობითი ნიშნები

კითხვა-პასუხი

დახატე

მოძებნე
და წაიკითხე

წაიკითხე

სასაუბრო

დაფიქრდი





ააწყვე

კითხვები

კომპლექსური
დავალება



დააკვირდი

იმუშავე
კომპიუტერით

ქართული

ა


ბ

გ

დ

თ

ი


ნ

ო

პ

ტ

უ

ფ


ქ

ჩ

ც

ხ

ჯ

ანბანი











1 თამაში

ა

არწივი



აკვარიუმი

აქლემი

ი

იხვი

ია



ირემი

ია

ია

აი ია.

აი ია.

ა ი

დ

დროშა

დოლი

დათვი

ე

ეკლესია

ექიმი

ეტლი

და დი დე ად იდ ედ

დე-და დი-დე-და

დედა დიდედა
დეიდა ადი დადე

აი დიდედა.



აი დედა.

აი დიდედა და ია.

დადე.

ადი.

მ

მზე

მაიმუნი

მამალი

ს

საათი



სპილო



საწოლი

მ ს

მა	ას	ემ	მი	სი
მიმ	სის	დეს	სემ	მედ

მა-მა	მა-მი-და	მა-ი-სი
მამა	მამიდა	მაისი

მაია იას დაა. მაია დიდია.
მედეა იას და მაიას მამიდაა.

მამა მიდის.

ეს მამაა.
მამა მიდის.

ეს დედაა.
დედა მიდის.

აი მე და მამა.
მამა დიდია.

აი ია.
ია ადის.

2 ზრუნვა

რ

რაკეტა



რობოტი



რგოლი

ჩ

ჩაიდანი

ჩანგალი

ჩანთა

რ ჩ

ჩირ მერ ჩარ დარ სერ დაჩ რემ
ჩი-რი ი-რე-მი ჩა-მი-ჩი

ჩირი ირემი ჩამიჩი

ეს რა არის? ეს არის ჩამიჩი და ჩირი.

ეს რიჩია. რიჩი დაჩისია.

რიჩი დაჩისია.



ეს არის დაჩი.
ის რიჩია.
რიჩი დაჩისია.
დაჩი მიდის.
რიჩი დარჩა.

ეს არის ია.
ია არის დაჩის და.
ის არის მიმი.
მიმი იასია.
ია მიდის.
მიმი დარჩა.

ვ



ვარდი

ვიოლინო

ვეფხვი

ნ



ნავი

ნათურა

ნაძვი

ვ ნ

ნა-ვი	ნეს-ვი	ვარ-დი	მან-და-რი-ნი
ნავი	ნესვი	ვარდი	მანდარინი
აივანი	ნიავი	ჩაიდანი	იასამანი

რამდენი ვარდია? სამი ვარდია.
ვისია ეს სამი ვარდი?
ეს სამი ვარდი ანასია.

ეს დაჩის ნავია.

სად რა დარჩა იას?

ეს არის დაჩი.
ვინ არის დაჩი?

ეს დაჩის დედაა.
ვინ არის დაჩის დედა?

ეს დაჩის მამაა.
ვინ არის დაჩის მამა?

ეს რა არის?
ეს არის ნავი.
ვისია ეს ნავი?
ეს ნავი დაჩისია.

ზ

ზარი

ზღარბი

ზებრა

ო

ოფოფი

ობობა

ონკანი

მო-რი	ზა-რი	მინ-დო-რი
მორი	ზარი	მინდორი
ზვავი	ზვინი	მოედანი

მზიანი ამინდია. მოედანზე ზეიმია.
დაჩი და ია ზეიმზე მიდიან.

ზ ო

ეს ჩვენი ეზოა.

ჩვენი ეზო

ეს იას და დაჩის ეზოა. ეზო დიდია. აი, დიდი მორი. მორზე დაჩი ზის.

მზიანი ამინდია. რიჩი მიმის დასდევს.

– ვინ მოვიდა?

– ეს მზიაა.

მზია იასთან მოვიდა.

იამ მზიას მიმი აჩვენა – ეს ჩემი მიმია.

3 ახალი წელი

თ

თუთიყუში



თევზი

თოჯინა

შ

შანდალი

შარვალი



შუქნიშანი

თ შ

შო-თი შე-შა თა-რო თო-ნე

შოთი შეშა თარო თონე
შაშვი დათვი შოშია საათი

ეს შოთას ეზოა.
ეზოში თეთრი შადრევანია.
შოთამ ეზოში შაშვი შეამჩნია.
რიჩიმ შაშვი შეაშინა.

დათვი საშიში ნადირია.

ეს რა არის?

დიდედა მაშოს თონე

მშვენიერი ამინდია. მამამ, დაჩიმ და იამ ისეირნეს.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, დიდედა მაშოს თონესთან ჩაიარეს.

დიდედა მაშომ ორი შოთი მიართვა ბავშვებს. ბავშვებს შიოდათ და შოთი სიამოვნებით მიირთვეს.

იამ თავისი დათვი გაასეირნა. იამ მას შოთი შესთავაზა, – ვითომ დათვს შიაო.

შინ რომ მივიდნენ, შოთი დედასაც მიართვეს.

ბ

ბუ

ბროწეული

ბურთი

უ



უთო

უჯრა



ურემი

ბ უ

ბუ-დე	ბუ-ნე-ბა	ბურ-თი
ბუდე	ბუნება	ბურთი
ბელი	ბავშვი	საბანი
თუთა	სურათი	ნუში

დაჩი და ბუბა მუზეუმში მიდიან.
ბავშვები ეზოში ბურთს თამაშობენ.
ბაბუა თათარას ურევს, ბებია ჩურჩხელებს ავლებს.

ბაბუა შეშას ეზიდება.

დააკვირდი და იპოვე ოთხი განსხვავება:

ზამთარი

ზამთარია. თოვს. მიდამო თეთრად მოირთო. მამა შეშას ეზიდება. ბაბუა მარანშია და სურსათს აბინავებს.

დაჩი და ია ეზოში ჩავიდნენ სათამაშოდ. ეზო უბნის ბავშვებით აივსო. მოვიდნენ: მაია, ბადრი, დათო, ნუნუ, ბუბა და ბესო. მაია და ია მიმისთან ერთობიან.

აი, რიჩი მორბის, რიჩის ბურთის თამაში უნდა. ბავშვები დარბიან და თამაშობენ, რიჩი მათ დასდევს.

რა მშვენიერია ზამთარი!

კ

კარადა

კურდღელი

კალათა

ლ

ლიმონი



ლოკოკინა

ლომი

კ ლ

კა-ლა-მი კე-დე-ლი ლეკ-ვი

კალამი კედელი ლეკვი
კალია ეკალი სოკო

ეს ლეკვია.
ლეკვი ნიკასია.
ნიკა სკოლაში მიდის.
ლეკვი ეზოში დარჩა.

ეს დაჩის სკოლაა.

დაჩის სკოლა

ეს დაჩის სკოლაა. დაჩი და ლადო სკოლაში მიდიან. ლადო დაჩის კლასელია. ისინი სკოლაში ერთად დადიან. სკოლაში 12 საათზე კინოჩვენება იმართება. ბავშვები მოუთმენლად ელიან.

– რას აჩვენებენ, რაზეა კინო?

– თოვლის ბაბუაზეა.

ზარი დაირეკა, ბავშვები კინოდარბაზში შევიდნენ. კინოსეანსი ერთ საათში დასრულდა. ბავშვებმა დიდად ისიამოვნეს.

სკოლის კედელთან საათია. უკვე ორი საათია.

დაჩი და ლადო სკოლიდან მოდიან. დაჩის ია ელოდება. დაჩი იას თოვლის ბაბუაზე უამბობს.

– მალე ჩემთან თოვლის ბაბუა მოვა და ბალიშთან სათამაშოს დამიდებს, – ამბობს ია.

– მართალია, მალე მოვა, – ეუბნება დაჩი დას.

4 ჩემი თავისუფალი დრო

პ

პეპელა

პომიდორი



პური

გ

გიტარა

გვირილა

გვირგვინი

პ გ

გემი მდინარის ნაპირს მოადგა.
გემზე გალია მოჩანს.
გალიაში კენგურუა.
კენგურუს ჩანთაში პატარა შვილი უზის.

მაგიდაზე ლამაზი პეპელა ზის.

რომელია შინაური,
რომელია გარეული?

ზოოპარკი

გუშინ დაჩიმ და მისმა მეგობრებმა ზოოპარკში გაისეირნეს.

დიდ გალიებში ლომი, დათვი და ლეოპარდი არიან.

მოშორებით კენგურუ ბინადრობს.

კენგურუს გვერდით პონები და ზებრები დასეირნობენ.

აი, სპილო. სპილოსთან მუდამ ბავშვები არიან.

ეს მაიმუნია. იგი ბანანს მიირთმევს.

ბავშვები ზოოპარკში კარგად გაერთნენ.

დაჩის ნაამბობი

მამამ მე, გიორგი და პაპუნა ზოოპარკში გაგვასეირნა.

მამამ ბევრი რამ გვიამბო. თურმე თეთრი დათვი ჩვენში არ ბინადრობს. სპილო კი ინდოეთიდან ჩამოსულა. კენგურუ თავის შვილს ჩანთაში ზრდის.

კვირას მთელი ზოოპარკი ზეიმობდა. თურმე ლომს ბოკვერი გაუჩნდა.

ცვ

ციყვი

ცხვარი

ცოცხი

წ



წიწილა

წინდა

წერო

პაწია ციცინო გაცივდა. ის ლოგინში წევს. დედა მას წამალს ასმევს.

– ნუ გეშინია, დაიკო, მალე გამოკეთდები. კვირას ცირკში ერთად წავალთ, – ეუბნება ციცინოს გიორგი.

ც წ



გუშინ წიწილა გამოიჩეკა.

ჩამოთვალე, რა რისი ნაშიერია:

პირველი წერილი

დაჩი უკვე დიდია. ის სკოლაში დადის.
დაჩიმ ბევრი რამ იცის. მან წერაც ისწავლა.
დაჩიმ და იამ ბებიას და პაპას წერილი მისწერეს:

ჩვენო ბებიკო და პაპა!
შორიდან გეალერსებით.
მალე არდადეგები დადგება და ჩვენც ჩამოვალთ.
წიწილები თუ გამოიჩეკა?
როგორ არიან ჩვენი ცუგა და კვიცი?
წელს მთელი ორი კვირა დავრჩებით.
გპირდებით, არ გაგაბრაზებთ.
გკოცნით ბევრს.

დაჩი და ია

– რას აკეთებენ დაჩი და ია?
– დაჩი და ია წერილს წერენ.
– ვინ დაწერა ეს წერილი, დაჩიმ თუ იამ?
– იამ წერა არ იცის. ეს წერილი დაჩიმ დაწერა.

ხ



ხალიჩა

ხახვი



ხე

ფ

ფუტკარი

ფოთოლი

ფარშავანგი

ხ ფ

ფერდობი ფაფუკმა თოვლმა დაფარა.
ბავშვებმა ფიჩხი შეაგროვეს.
მათ ბუხარში ცეცხლი დაანთეს.
ბავშვები ბუხარს მიუსხდნენ.

ვახო ფეხბურთელია.

რებუსი

ფეხ

კალათ

ხელ

ჩვენი ეზოს გუნდი

ერთხელ ბავშვებმა ფეხბურთის მოედანი დაასუფთავეს. ზოგმა კარი შეაკეთა, ზოგმა მინდორი დახაზა.

ბავშვებს უფროსებიც დაეხმარნენ.

ჩვენი ეზოს გუნდიც შეიკრიბა. ბავშვებმა ფორმები შეიკერეს. დაჩისაც შეუკერეს ფორმა.

პირველი თამაში

მალე პირველი თამაში გაიმართა. დაჩის გუნდი თავიდან ორით ნულს იგებდა. ბოლოს კი წააგეს.

დაჩი გაბრაზდა, ბურთი მოისროლა და მოედნიდან გავარდა. ბავშვებმა კი ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და მადლობა გადაუხადეს.

– ასეთი რამ მეორედ არ ჩაიდინო! – მკაცრად უთხრა მამამ დაჩის.

დაჩის შერცხვა და თავი დახარა.

ისაუბრეთ, რის გამო გაუბრაზდა მამა დაჩის.

5 მეგობრობა

ქ

ქვაბი

ქუდი



ქოლგა

ყ

ყურძენი



ყაყაჩო

ყვავი

მეგობრები

ლადო და დაჩი ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ, ერთ სკოლაში სწავლობენ და ცურვაზეც ერთად დადიან.

ორივეს უყვარს ეზოში თამაში, ორივეს უყვარს კითხვა. ლადო და დაჩი ყოველთვის უყვებიან ერთმანეთს წაკითხულ მოთხრობებს. ლადოს უყვარს ამბები ქართველი მეფეების შესახებ, დაჩის კი ლექსები უყვარს.

ლადო და დაჩი საუკეთესო მეგობრები არიან.

მოძებნე და წაიკითხე: რა უყვართ დაჩის და ლადოს; რისი კითხვა უყვარს ლადოს, რისი კითხვა უყვარს დაჩის.

1. როგორია შენი მეგობარი?
2. რას აკეთებთ ხოლმე ერთად?
3. რა უყვარს შენს მეგობარს?
4. რა გიყვარს შენ?

ქარი ქრის. ყინავს.
ქარმა გოგონას ქუდი წაართვა.

ქ ყ

რებუსები

რხი
ვი
ლი

რკა
დი
თხე

ძ

ძაღლი

ძვალი

ძროხა

ღ

ღრუბელი

ღილი



ღორი

დაბადების დღე

დღეს ია ოთხი წლის გახდა.

დედამ მას ძალიან ლამაზი კაბა აჩუქა.

მამამ იას ოთხი ვარდი მიართვა.

ძამიკომ კი მისალოცი ბარათი დაუხატა.

ია საბავშვო ბაღის მეგობრებს ელოდება და ძალიან ღელავს.

ზარის ხმა გაისმა. აი ისინიც: დათო, ნინო, გია, თაკო და ბიძინა.

ზეიმი საღამომდე გაგრძელდა.

ია კარგად გაერთო მეგობრებთან ერთად. იმღერეს, იცეკვეს და გამოცანობანა ითამაშეს.

მისალოცი ბარათი

ჩემო საყვარელო დაიკო,
გილოცავ დაბადების დღეს!
ძალიან მიყვარხარ.

შენი ძამიკო დაჩი

ძ ღ

მოძებნე და წაიკითხე, ვინ როგორ მიულოცა იას დაბადების დღე.

შენც გააკეთე მისალოცი ბარათი. მიულოცე დაბადების დღე დედას, მამას, დაიკოს ან ძამიკოს, ბებიას ან ბაბუას.

რას არ აჩუქებდნენ იას და რატომ?

დაასახელე, რა არის სწორი:

ია საბავშვო ბაღში დადის.

ია ოთხი წლისაა.

ია სკოლაში დადის.

ია დაჩიზე უფროსია.

ჯ

ჯაჭვი

ჯაგრისი

ჯამბაზი

ტ

ტიტა

ტორტი

ტრაქტორი

ახალი მეგობარი

ერთხელ რიჩიმ ოთახში შეირბინა. ლეკვმა ტახტზე პატარა კნუტი დაინახა.

რიჩი გაჯავრდა, ჯერ შეუღრინა კნუტს, მერე დაუყეფა. ბოლოს კი თვითონაც ტახტზე შეხტა.

– რიჩი, ახლავე ჩამოხტი! – მოისმა იას ხმა.

რიჩი დამჯერი ძაღლი იყო, მაგრამ ახლა გაჯიუტდა.

– კარგი, ნუ ჯავრობ! ეს ჩვენი ახალი მეგობარი მიმია, – უთხრა იამ რიჩის და ორივეს მიუალერსა.

ასე გაიცნეს ერთმანეთი ლეკვმა და პატარა კნუტმა.

– რა დაინახა რიჩიმ?

– რიჩიმ ტახტზე პატარა კნუტი დაინახა.

– რატომ გაჯავრდა რიჩი?

– რიჩის კატები არ უყვარდა და გაჯავრდა.

– როგორ მოიქცა რიჩი?

– ჯერ დაუყეფა კნუტს, მერე კი თვითონაც ტახტზე ახტა.

– ვინ შეარიგა რიჩი და პატარა კნუტი?

– რიჩი და პატარა კნუტი იამ შეარიგა.

ჯ ტ

დააკვირდი ნახატებს და მოიფიქრე ამბავი:

6 კითხვა–წიგნის სამყარო

ჟ

ჟოლო



ჟირაფი

ჟაკეტი

ჟ

რას გახსენებს?

სცენა ფარდა მსახიობი
ჯამბაზი ჟონგლიორი მანეჟი
მერხი დაფა ცარცი

პირველად თეატრში

ია და დაჩი თეატრში წავიდნენ.

ია პირველად მიდიოდა თეატრში.

დარბაზში დიდი ჟრიამული იყო. მერე შუქი ჩაქრა. სცენის წინ პატარა ნათურა ბჟუტავდა.

ფარდა გაიხსნა. აჟღერდა მუსიკა.

სცენაზე ტყე იყო. ტყეში ჟირაფი იდგა და თავით ცას სწვდებოდა.

– თოჯინაა, – თქვა დაჩიმ.

– ვიცი, – უთხრა იამ.

დოლმა ბაგაბუგი დაიწყო. გაისმა საყვირების ხმა.

– ვიწყებთ ტყის ზღაპარს, – თქვა ჟირაფმა.

ბავშვებს სპექტაკლი მოეწონათ.



გამოიყენე მოცემული სიტყვები–
მოეწონათ, წავიდნენ, დაიწყო.
ზეპირად დაასრულე წინადადებები:

ია და დაჩი თეატრში . . .
მალე წარმოდგენა . . .
ბავშვებს სპექტაკლი . . .

რომელია ზედმეტი და რატომ?

სცენა | ფარდა | ექიმი | მსახიობი

ისაუბრეთ, თქვენ თუ ყოფილხართ
თეატრში. რა სპექტაკლი ნახეთ?
რა მოგეწონათ?

დააკვირდი და იპოვე ოთხი განსხვავება:

ჭ

ჭიქა



ჭიამაია

ჭადრაკი

ჰ

ჰაერბურთი

ჰალსტუხი

ჰამაკი

ვაშა, ჩვენ კითხვა ვიცით!

– რომელი სიტყვა იწყება ასო ჰ-ზე.

– ჰამაკი, ჰაერი, ჰიპოპოტამი, – ჩაარაკრაკეს ბავშვებმა.

– ჩვენ ეს ასოც ვისწავლეთ, – **ჰ** ქართული ანბანის ბოლო ასოა, – თქვა მასწავლებელმა.

– ახლა უკვე ყველა ასო ვიცით? – ჰკითხა ერთმა გოგონამ.

– დიახ, ჩემო კარგო. „დედაენას“ თქვენ უკვე თავისუფლად წაიკითხავთ.

– ვაშა, ჩვენ კითხვა ვიცით! – ახმაურდნენ ბავშვები.

– ზღაპრებსაც წავიკითხავთ?

– რა თქმა უნდა, მალე თქვენ ყველა ქართული წიგნის წაკითხვას შეძლებთ, – თქვა მასწავლებელმა.

– უჰ! რამდენ წიგნს წავიკითხავთ! – გაუხარდათ ბავშვებს.

რა გაუხარდათ ბავშვებს?
რატომ გაუხარდათ ბავშვებს, ყველა ასო რომ ისწავლეს?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ი**.

ა ი ი ა.

ანბანის შესწავლა რომ დაასრულეს, მასწავლებელმა ბავშვებს წიგნის წაკითხვა დაავალა. დაჩიმ შეარჩია ამბავი პატარა ფისო ცაცაზე. ზღაპრის სათაურიც მოეწონა და ილუსტრაციაც.

ფისო ცაცას მეგობრები

ცაცა, ეს ლამაზი სახელი, ფისოს ერთმა პატარა გოგომ დაარქვა. ფისო ცაცას ვეფხვივით ჭრელი ზოლები ამშვენებდა და ცოტა ჭირვეულიც იყო, არავის ეკარებოდა. გოგონა ზაფხულის არდადეგებზე ჩამოვიდა სოფელში და მალევე დაიმეგობრა ჭრელი კატა.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **მ**.

მ მ�ა აი მაია.

* * *

დადგა სექტემბერი და გოგონა ისევ ქალაქში დაბრუნდა. ფისო ცაცას ისე ეტკინა გული, რომ იმ უბნისკენ აღარც გაუხედავს, სოფლის ბოლოს ერთ მიტოვებულ კარ-მიდამოს შეაფარა თავი. როცა ძალიან მოიწყენდა, კედელზე ხატავდა ფერადი ცარცით. დახატა ლეკვი, წიწილა, ბატის ჭუკი და ციცქნა კნუტი. ამბობდა, ესენი ჩემი მეგობრები არიანო. ჩამოსკუპდებოდა ხოლმე კედლის წინ და ათას რამეს უყვებოდა თავის ახალ მეგობრებს.

* * *

ერთხელ ამ მოხატულ კედელთან კეთილმა ფერიამ ჩამოირა და გაიგონა, ფისო ცაცა კნუტს რომ ეუბნებოდა: – ნუ გეშინია, მე შენ არასდროს

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ე**.

ე ე ე ე ა ე ა.

მიგატოვებო. მოეწონა ფერიას ეს უცნაური ჭრელი კატა და ნახატები გაუცოცხლა. ასე შეიძინა ფისო ცაცამ მეგობრები, ხოლო მიტოვებულმა სახლმა – ბინადრები.

ვინაა ამ ზღაპრის მთავარი პერსონაჟი?

როგორ ახასიათებს ავტორი ფისოს?

ვინ დაარქვა ფისოს ცაცა?

როგორ გაიცნეს გოგონამ და კატამ ერთმანეთი?

რამ გაანაწყენა ფისო ცაცა?

სად დასახლდა ფისო ცაცა?

რატომ ხატავდა ფისო კედელზე?

როგორ იქცეოდა იგი?

რატომ მოეწონა ფერიას ფისო ცაცა?

რა შეიძინეს ფისუნიამ და მიტოვებულმა სახლმა?

ისაუბრეთ, როგორია ფისო ცაცა.

რომელია ზედმეტი?

კნუტი ლეკვი კატა წიწილა ჭუკი

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ს**.

ს სიმი სამი მაისია.

ბავშვის სათვალე

– მამიკო, სათვალე მიყიდე.
– რად გინდა, შვილო, სათვალე?
– შენსავით წიგნები უნდა წავიკითხო.
– კარგი, – უთხრა მამამ ბავშვს და ანბანი უყიდა.

ისაუბრეთ, რისთვის უნდოდა ბავშვს სათვალე.

ანბანი

ყოველ ასოს თავისი სახელი აქვს. ა-ს ჰქვია **ანი**, ბ-ს ჰქვია **ბანი.**

ამ ორი ასოს სახელისაგან შეიქმნა სიტყვა **ანბანი**.

ხმოვნები და თანხმოვნები

ქართულ ანბანში ხუთი ხმოვანია: **ა ე ი ო უ**. ყველა დანარჩენი კი თანხმოვანია.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ხ**.



1 სწავლის მნიშვნელობა

სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა,
დილა არის მშვენიერი!
აბა, ბიჭო, ტანთ ჩაიცვი
და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!
სამუშაოდ ეშურება
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი,
აბა, მარდად, ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

რა არის მოსწავლის მთავარი საქმე,
მისი სამუშაო?

დაასახელე, რას ნიშნავს ეს სიტყვები:

ეშურება – მიდის თუ მიიჩქარის?
მარდად – ნელა თუ სწრაფად?

ამ სიტყვებით შეადგინე წინადადებები:

მზე სხივი ფანჯარა სტყორცნა

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ზ**.

ზ ზეიმი ეს ზახას მამაა.

დილა ჩვენს ეზოში

დაჩი სკოლაში მიიჩქარის. პაწია ბელურა ბებერ ჭადარს ეკითხება:

– სად მიდის ყოველდღე ეს ბიჭი?

– სკოლაში.

– რატომ დადის დაჩი სკოლაში?

– იმიტომ, რომ მშობლები გაახაროს.

– დედას რით გაახარებს?

– კარგი სწავლით.

– მამას რით გაახარებს?

– ზრდილობით.

– ჩვენ რით გაგვახარებს?

– როცა გაიზრდება, მოგვივლის და გვიპატრონებს.

ბელურა ადგილს მოსწყდა და სკოლის ფანჯრის რაფაზე დასკუპდა.

დაჩი უკვე საკლასო ოთახში იჯდა. მერხზე წიგნი ედო და კითხულობდა: „ბუნებას უნდა მოვუაროთ!“

რით გაახარებს დაჩი მშობლებს?
რა წაიკითხა დაჩიმ წიგნში?
რატომ უნდა ისწავლოთ კარგად?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **თ**.

თ თითი ის თეას საათია.

რომელია ზედმეტი და რატომ?

რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში?

გათენდა. დაჩიმ გაიღვიძა. დედა საუზმეს ამზადებს.

გაინაწილეთ როლები და წაიკითხეთ ჭადრისა და ბელურას საუბარი.

ვთამაშობთ და ვსწავლობთ

შექმენით გამაფრთხილებელი აბრა.

დაგჭირდებათ მასალა: დიდი ქაღალდი, ფერადი ფანქრები, კალამი.

ქაღალდის შუაში კალმით დაწერეთ: ბუნებას უნდა მოვუაროთ!

გარშემო დახატეთ ბუნების სურათები.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ო**.

ო თქმა ეხმაურება.

ჩიტის ბუდე

ნიკომ და ელომ ბუჩქებში ჩიტის ბუდე იპოვეს. ბუდეში ოთხი პატარა, სულ ტიტველი ბარტყი ისხდა. გახარებულმა ბავშვებმა ბარტყები ამოსხეს და შინ მიიყვანეს. ჩაუფინეს კოლოფში ბამბა და შიგ ჩასხეს; მოუტანეს რძეში დამბალი პური, ჭიები, შაქარი, მაგრამ ბარტყები არ ჭამდნენ საჭმელს და ჭყიოდნენ.

ნიკომ და ელომ არ იცოდნენ, როგორ დაემშვიდებინათ ჩიტები, არ შორდებოდნენ, ეფერებოდნენ.

ამ დროს პატარა ჩიტუნები მოფრინდნენ, შორიახლო დაიწყეს ფრენა და ჭყივილი.

* * *

მამაც მოვიდა სამსახურიდან.

ბავშვებმა მაშინვე ბარტყები აჩვენეს და უთხრეს:

– მამიკო, რა ვაჭამოთ ბარტყებს, არაფერს არ ჭამენ და გვეცოდებიან.

მამამ შეხედა ჩიტებს და უპასუხა:

– თუ მართლა გეცოდებათ და არ გინდათ დაიხოცონ, ახლავე ჩასხით ბუდეში, სადაც იყვნენ. იქ კი დედ-მამამ იცის, რა აჭამოს. აი, ხომ ხედავ, როგორ ტირიან მათი მშობლები.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **კ**.

კ კესო სკამზე ზის.

ნიკოს და ელოს მართლაც შეეცოდათ ჩიტუნები, თუმცა ძალიან ენანებოდათ, მაგრამ წაიყვანეს და ჩასხეს ბუდეში.

შემდეგ ჩაიმალნენ ბუჩქებში და უყურებდნენ, როგორ მოუტანეს საჭმელი დედა და მამა ჩიტუნებმა, როგორ აღებდნენ ბარტყები ყვითელ ნისკარტებს და ყლაპავდნენ საჭმელს.

რატომ ამოსხეს ბუდიდან ბარტყები ბავშვებმა?

რა არ იცოდნენ ნიკომ და ელომ?

რამ მიგვანიშნა, რომ ნიკო და ელო არასწორად მოიქცნენ?

რა ურჩია მამამ ბავშვებს?

რას მიხვდნენ ნიკო და ელო?

როგორ ზრდიან , რას ასწავლიან ჩიტები თავიანთ ბარტყებს?

რას ასწავლიდით, რას ურჩევდით ნიკოსა და ელოს?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო 3.



1 კომპლექსური დავალებები

№1. მკითხველის პოსტერი: „ხელს ნუ ახლებთ ჩიტის ბუდეს“

ნიკოს და ელოს მაგალითზე გაიხსენე, რა დანაშაულს სჩადიან ადამიანები ფრინველებისა და ცხოველების მიმართ; შექმენი გამაფრთხილებელი პოსტერი ადამიანებისაგან ცხოველების დასაცავად. გამოკვეთე პოსტერის მთავარი აზრი, დაუკავშირე იგი ილუსტრაციებსა და წარწერებს. გამოიყენე სხვადასხვა ზომის ფერადი ასოები.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რატომ გგონია, რომ შენი ნამუშევარი პოსტერია;
- რით უკავშირდება ერთმანეთს შენი პოსტერი და შესწავლილი ნაწარმოებების დედააზრი;
- რატომ ფიქრობ, რომ ყურადღებას მიაქცევენ შენს პოსტერს.

№2 . ამბის შეთხზვა

მოიფიქრე და მოჰყევი საინტერესო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა დაჩი პატარა ბელურას ზამთარში. ამბავს შეურჩიე სათაური.

თხრობისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- ამბის დეტალები (მაგ.: სად და როდის ნახა დაჩიმ ბელურა, როგორი ამინდი იყო, რა ხდებოდა გარშემო, როგორ გამოიყურებოდა ბელურა და სხვა).

წითელი და მწვანე

ერთხელ ფერები აირია.
წითელი ჯეჯილი ამოვიდა.
მწვანე ყაყაჩომ ყანა დაამშვენა.
წითელ შუქზე ბავშვები ქუჩაზე გადადიოდნენ.
მწვანე შუქზე კი იდგნენ და იცდიდნენ.

როგორ დავეხმაროთ ჯეჯილს, ყაყაჩოს და ბავშვებს?

ქუჩაში მოძრაობის წესები

- უნდა გადახვიდე იქ, სადაც გადასასვლელია.
- ყურადღება მიაქციე შუქნიშანს.
- წითელ შუქზე გაჩერდი!
- ყვითელ შუქზე შეჩერდი. დაელოდე, რომელი ფერი აინთება.
- მწვანე შუქზე გადადი!

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **გ**.



აღწერე ნახატები. ვინ იქცევა სწორად?



ვთამაშობთ და ვსწავლობთ

გაითამაშეთ ქუჩაში მოძრაობის წესები.

გამოჭერით ყვითელი, წითელი და მწვანე რგოლები.

გაინაწილეთ როლები: ერთი შუქნიშანი იყოს; მეორე – პოლიციელი; მესამე ფეხით მოსიარულე იქნება.

გაითამაშეთ:

* შუქნიშანი აჩვენებს რომელიმე ფერს.
* პოლიციელი შუქნიშნის ფერის მიხედვით ბრძანებას იძლევა, როგორ მოიქცეს ფეხით მოსიარულე: სდექ! გადადი! გაფრთხილდი!
* ფეხით მოსიარულე ასრულებს ბრძანებას.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **d**.



ტყუპები

1. ეზოში

ჩვენს ეზოში ორი ბიჭი ცხოვრობს. ერთს გიგა ჰქვია, მეორეს – გაგა. გიგა და გაგა ძმები არიან, თანაც ტყუპები. ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ვერ გაარჩევ, მაგრამ სულ სხვადასხვანაირად კი იქცევიან.

ზამთრის ერთ ბურუსიან დღეს გიგა და გაგა ეზოში გამოვიდნენ. ყინავდა. ბიჭებს შესცივდათ.

– წავალ, თბილად ჩავიცვამ! – თქვა გიგამ.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ შინიდან ისეთი ჩაფუთნილი გამოვიდა, ველარ ინძრეოდა.

გაგამ კი გამოიტანა თავისი ნიჩაბი და თოვლში გზის გაკვალვას შეუდგა.

1. როგორი ამინდი იყო?
2. როგორ მოიქცა გიგა?
3. როგორ მოიქცა გაგა?

რომელს უფრო არ შესცივდებოდა, გიგას თუ გაგას? რატომ?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **შ**.

შ მაშოს შაშვის ხმა ესმის.

2. თოვლის პაპა

ერთხელ გიგამ და გაგამ თოვლის პაპები გააკეთეს. ცხვირებად სტაფილოები გაუკეთეს, თვალების ნაცვლად კი ნახშირები ჩაუსვეს. ძალიან სასაცილო თოვლის პაპები გამოუვიდათ.

გიგას თოვლის პაპა მაღლობზე იდგა და მისი დანახვა ყველას შეეძლო. გაგასი კი ნაძვის ქვეშ, ჩრდილში შეყუჟულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ მზემ გამოანათა და ისე დათბა, რომ თოვლის პაპებს დასცხათ.

1. რატომ დადგა გიგამ თოვლის პაპა მაღლობზე?
2. რატომ შეაფარა გაგამ თავისი თოვლის პაპა ნაძვის ჩრდილს?

როგორ გგონიათ, ვისი თოვლის პაპა დადნებოდა უფრო ჩქარა: გიგასი თუ გაგასი? რატომ?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **რ**.



რომელი სიტყვა გამოხატავს ყველაზე მეტ სიცივეს, რომელი – შედარებით ნაკლებს, რომელი – კიდევ უფრო ნაკლებს?

ყინავს **გრილა** **ცივა**

3. მდინარეზე

ზაფხულის ერთ დღეს გიგა და გაგა მდინარეზე საბანაოდ წავიდნენ. იბანავეს, იჭყუმპალავეს, მერე კი გემების გაკეთება გადაწყვიტეს.

ერთმა ფიჭვის ხის ქერქისაგან მშვენიერი გემი გააკეთა. მეორემ თიხა მოზილა და დიდი ყვითელი გემი გამოძერწა.

როგორ გგონიათ, რომელმა გააკეთა თიხის გემი?

რატომ ფიქრობთ, რომ სწორედ ამ ბავშვმა გააკეთა თიხის გემი?

1. რა არის ამ მოთხრობის საერთო სათაური?
2. რამდენი თავისგან, ნაწილისგან შედგება ეს მოთხრობა?
3. რა ჰქვია თითოეულ თავს?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ჩ**.

ჩ ჩემი ძმა ჩაის სვამს.

წელიწადის რომელი დროა აღწერილი პირველ, მეორე და მესამე თავებში. რით ერთობოდნენ ბიჭები ზამთარში? რით ერთობოდნენ ბიჭები ზაფხულში?

გამოიყენე მოცემული სიტყვები

გამოთალა, შეკერა, გამოჭრა, გამოძერწა

ზეპირად დაასრულე წინადადებები:

გიორგიმ თიხის კაცუნა . . .
ნიკამ ხისგან თოჯინა . . .
თაკომ ქაღალდის ყვავილი . . .
ნინომ ჩითის კაბა . . .

გაიხსენეთ მოთხრობის სამივე თავი. გაგა უფრო გონივრულად იქცეოდა თუ გიგა? რატომ ფიქრობთ ასე? რით ჰგვანან ტყუპები ერთმანეთს და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

რებუსი

სამანი
ტაკი

დე
ნება

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **დ**.



2 კომპლექსური დავალებები

№1 პერსონაჟების დახასიათება

წაიკითხე მოთხრობა „ტყუპები“, დააკვირდი და შეადარე გიგას და გაგას ქცევა და თვისებები. შეავსე მოცემული სქემა და მასზე დაყრდნობით ზეპირად დაახასიათე პერსონაჟები.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- როგორები არიან გიგა და გაგა – რა თვისებები აქვთ მათ. რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელი პერსონაჟის თვისებები მოგწონს, რომლის თვისებები არ მოგწონს? რატომ?
- რისი თქმა უნდა მწერალს ამ მოთხრობით?

№2 ამბის მოფიქრება და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით

დაარქვით სახელები პერსონაჟებს და სურათებზე დაყრდნობით (გვ.76) მოიფიქრეთ პატარა ამბავი იმაზე, თუ როგორ დაეხმარა ერთი ბიჭი მეორეს, რომელმაც არ იცოდა ქუჩაზე გადასვლის წესები. (წარმოიდგინე, რა მოხდა სურათზე გამოსახულ ამბამდე, საბოლოოდ რით დასრულდა ეს ამბავი). ამბავს შეურჩიეთ სათაური.

თხრობისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- მრავალფეროვანი სიტყვები;
- ამბის სხვადასხვა დეტალი (მაგ., ვინ არიან პერსონაჟები, როგორ იქცევიან ისინი და სხვა).

თებერვალო, თებერვალო

– თებერვალო, თებერვალო,
რას ფაფხურობ, რასა წვალობ?
– ფერად-ფერად კაბებს ვკერავ.
– რისთვის გინდა, შე საწყალო?
– ჩემს დობილებს დავურიგებ,
მარტს, აპრილს და მაისსაო.
კართან მოდგა გაზაფხული,
გული გამიხალისაო.

რას ნიშნავს ფაფხურობ?
ცდილობ გაკეთებას, აფხაკუნებ თუ ხმაურობ.

რომელ თვეებს უწოდებს თებერვალი დობილებს?
რამ გაუხალისა თებერვალს გული?

თებერვალი ზამთრის ბოლო თვეა.
ზამთარს გაზაფხული მოსდევს.
გაზაფხულის თვეებია: მარტი, აპრილი, მაისი.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ღ**.

ღ დაღამდა. მზე ჩავიდა.

მოცემული სიტყვებით შეადგინე წინადადებები:

1. იღვიძებს გაზაფხული ბუნება
2. ჩიტი ბუდე გაიკეთა ხე
3. თავი მიწა ყვავილები ამოყვეს

რომელია ზედმეტი და რატომ?

მარტი	დეკემბერი	აპრილი	მაისი

წაიკითხე ეს ამბავი მთლიანად, შემდეგ კი მხოლოდ ხაზგასმული წინადადებები:

<u>გაზაფხულდა.</u> <u>დათბა.</u> მიწიდან ყვავილებმა ამოყვეს თავი. ხეები შეიფოთლა. <u>ამწვანდა მთა-ბარი.</u> <u>დაბრუნდნენ ჩიტები.</u> მათმა ჭიკჭიკმა გაახალისა მიდამო. <u>ბუნებამ გაიღვიძა.</u>

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ლ**.



ენძელა

– ჭიტა! – დაიძახა პატარა ენძელამ და თოვლში თავი ამოყო.

ზამთარი გაუბრაზდა: იცოდე, გაგყინავ, გაგაქრობო.

– შენი სულაც არ მეშინია, გაზაფხული მოდის! – მიუგო ენძელამ.

ამ დროს მზემ გამოაჭყიტა. თბილი სხივები გამოუგზავნა პატარა ყვავილს.

დაღონდა ბებერი ზამთარი და ატირდა. მისმა ცრემლებმა მიწა დაალბო. და იცით, რა მოხდა? ერთი კი არა, უამრავი ენძელა ამოვიდა.

ისაუბრეთ, რატომ არ ეშინია ენძელას ზამთრის. რატომ არის ნათქვამი, რომ ზამთარი ბებერია? თქვენი აზრით, ზამთრის რომელ თვეზეა საუბარი? რამ დააღონა ბებერი ზამთარი? რას ნიშნავს – ზამთარი ატირდა?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **წ**.

წ ნიხოქ ნიგნი წაიკითხა.

აღწერე სურათი

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ნ**.

ნ ნათია ნინოს და არის.

3 კომპლექსური დავალებები

№1. თხრობა მთხრობლის შეცვლით

ყურადღებით წაიკითხე ტექსტები: „თებერვალო, თებერვალო“ და „ენძელა“, მოირგე ზამთრის როლი. წარმოიდგინე და ზეპირად გადმოეცი, როგორ მოჰყვება ზამთარი თავის ამბავს. წარმოაჩინე სხვადასხვა დეტალი (მაგ. როგორ ცდილობს ზამთარი ენძელას შეშინებას; როგორ, რატომ არ შეეშინდა მისი ყვავილს; რას გრძნობდა, როცა პატარა ენძელამ მის მუქარას მუქარითვე უპასუხა; რატომ ატირდა ზამთარი; რას გრძნობს ზამთარი, როცა თებერვალი დობილებს ფერად კაბებს უკერავს; რატომ გადაწყვიტა ზამთარმა მისთვის ასპარეზის დათმობა).

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რატომ ფიქრობ, რომ ზამთარი ასე მოჰყვებოდა ამბავს.
- რა გაგახსენა ამ ამბავმა?

№2. სურათის დამოუკიდებლად აღწერა

მოემზადე სურათის აღსაწერად: შეადგინე გეგმა და მის საფუძველზე აღწერე სურათი.

აღწერისას წარმოაჩინე:

- წელიწადის რომელი დროა სურათზე, რატომ ფიქრობ ასე;
- რა არის ახლოს, რა მოჩანს შედარებით შორს;
- ვინ არიან გამოსახული სურათზე, რას აკეთებენ ისინი;
- ადგილის მიმანიშნებელი სიტყვები: მარჯვნივ, მარცხნივ, შორს, ახლოს, გვერდით, წინ, უკან.

ყველაზე ლამაზი დედიკო

გიორგობა იყო. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ჭადართან პატარა გოგონა იდგა და ტიროდა.

– რა გატირებს, პატარავ? – ჰკითხეს ქალებმა.

– დედიკო დამეკარგა, – ტირილით უპასუხა გოგონამ.

– ნუ გეშინია, ვიპოვით. გვითხარი, ვინ არის დედაშენი?

– რა ვქნა, განა არ იცით? დედაჩემი ის არის, ვინც ყველაზე ლამაზია, – თქვა გოგონამ.

ქალებს გაეღიმათ და ბავშვს მიუალერსეს.

მალე დედაც გამოჩნდა და ატირებული შვილი გულში ჩაიკრა.

დარიგება

თუ გზა აგერია და დაიკარგე, არ შეშინდე. მთავარია, იცოდე შენი სახელი და გვარი, შენი მისამართი: ქალაქი ან სოფელი, უბანი, ქუჩა, სახლის ნომერი; მშობლების სახელი და გვარი.

შენ რომ დაკარგულიყავი, როგორ მოიქცეოდი?

აღწერე სურათი

რა დგას ოთახის შუაში?
რა დგას მაგიდის გარშემო?
რა დგას მაგიდის მარჯვნივ?
რა დგას მაგიდის მარცხნივ?
რა დგას მაგიდის უკან?
რა კიდია კედელზე?

დედის დღე

– დაჩი, რას აკეთებ? – ეკითხება ია დაჩის.
– საქმე მაქვს, ხელს ნუ მიშლი.
– რა საქმე გაქვს? – არ ეშვება ია.
– დედიკოსთვის მისალოცბარათს ვწერ.
– დედიკოს დაბადების დღე უკვე იყო.
– დღეს დედის დღეა, უნდა მივულოცო.
– მე რა ვაჩუქო, წერა რომ არ ვიცი?
– შენ რამე დაუხატე.

იამ სახატავი რვეული გადაშალა, ფერადი ფანქრები მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა. დახატა მზე, მთები და ყვავილები.

– ძალიან ლამაზია, – შეაქო დაჩიმ ია.

შენც დახატე მისალოცი ბარათი. რა დახატე? აღწერე შენი მისალოცი ბარათი.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ბ**.

ბ ბოსელში ბოჩოლა აბია.

რომელ მილოცვას რომელ ბარათზე დაწერდი და რატომ?

დედიკო!
გილოცავ დედის დღეს!

გილოცავ ახალ წელს!
მრავალს დაესწარი!

გილოცავ
დაბადების დღეს!
გისურვებ წარმატებას და
ბედნიერებას!

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **უ**.



4 კომპლექსური დავალებები

№1. მისალოცი ბარათის შექმნა

მოუმზადე დედას დედის დღის მისალოცი ბარათი გამოკვეთე, რა მიზნით სწერ, რას ულოცავ დედას;

დაიცავი მისალოცი ბარათის აგებულება;

გააფორმე მისალოცი ბარათი და შეარჩიე სიტყვები, რომლებიც, შენი აზრით, მოეწონება დედას;

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რა ნაწილებისგან შედგება შენი მისალოცი ბარათი;
- რატომ ფიქრობ, რომ შენი მისალოცი ბარათი მოეწონება დედას;
- რატომ დასვი ეს სასვენი ნიშნები.

№2. ამბის შედგენა

მოიგონე მცირე ზომის ამბავი დაკარგულ ბავშვზე, რომელმაც ადვილად შეძლო მშობლების პოვნა.

შეურჩიე სახელი პერსონაჟ ბავშვს, დაასათაურე და გააფორმე შენი მოგონილი ამბავი ციფრული რესურსით „ვსწავლობთ თამაშით“ ან შენი ნახატით.

ნამუშევარში წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა დაკარგული ბავშვის ამბავი.
- ამბის დეტალები: (სად იყო ბავშვი, ვისთან ერთად იყო ის, რა ხდებოდა იქ, როგორ დაიკარგა, შეეშინდა თუ არა, როგორ მოახერხა მშობლების სწრაფად პოვნა.
- რატომ დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად.

ხატვის გაკვეთილზე

ხატვის გაკვეთილი დაიწყო. ბავშვებმა სახატავი რვეულები გადაშალეს, ჩანთებიდან ფერადი ფანქრები ამოიღეს და ხატვას შეუდგნენ.

უცებ მარიამი ატირდა.

– რა გატირებს? – შეეკითხა ნინო მასწავლებელი.

– დაჩიმ თმები მომწიწკნა.

– შენ ფანქარი წამართვი! – გაცხარდა დაჩი.

– ის ფანქარი ჩემი იყო, – უპასუხა ატირებულმა მარიამმა.

– ჩემსას წვერი მოტყდა. იმიტომ ავიღე.

– უნებართვოდ რატომ აიღე? უნდა გეთხოვა, – უთხრა ნინო მასწავლებელმა დაჩის.

– ვთხოვე და არ მომცა, – თქვა დაჩიმ.

მარიამმა ტირილს უმატა.

> როგორ მოიქცა დაჩი? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი?
> როგორ მოიქცა მარიამი? თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ფ**.

ფ ხემ მოისხა ფოთოლი.

სიტყვის ძალა

დაჩი თავჩაღუნული იჯდა. მარიამი ისევ ტიროდა.

– ბავშვებო, რა შეარიგებს დაჩის და მარიამს? – მიმართა კლასს ნინო მასწავლებელმა.

– ბოდიშის მოხდა და პატიება, – ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

– მართალია. დაჩი, აბა რა უნდა უთხრა მარიამს?

– მაპატიე, მარიამ, აღარ გაწყენინებ.

– ახლა შენი ჯერია, – მიმართა ნინო მასწავლებელმა მარიამს.

– მეც ბოდიშს გიხდი. აიღე, რომელი ფანქარიც გინდა.

– აი, რა ჯადოსნური ძალა ჰქონია ამ უბრალო სიტყვებს, – თქვა ნინო მასწავლებელმა და დაფაზე რამდენიმე სიტყვა ჩამოწერა:

მაპატიე
ბოდიში
უკაცრავად
გმადლობთ
თუ შეიძლება

– ეს სიტყვები ხშირად დაგეხმარებათ. მათ მართლაც ჯადოსნური ძალა აქვთ. – თქვა ნინო მასწავლებელმა.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ყ**.



დაიმახსოვრე!

ბოდიში მოუხადა.
მადლობა გადაუხადა.

დარიგება

ბოდიშის მოხდის არ უნდა შეგრცხვეს.
მადლობის გადახდა არ უნდა დაგავიწყდეს.
მისალმება და დამშვიდობება არ უნდა დაგასწრონ.

ზეპირად შეავსე წინადადებები. გამოიყენე
მოცემული სიტყვები:

თუ შეიძლება, მაპატიე, გმადლობთ.

. . . აღარ დავხევ რვეულს.

. . . შენი საჩუქარი ძალიან მომეწონა.

. . . ნამცხვარი მომაწოდეთ.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ქ**.



ფაიფურის თოჯინა

კარადას ფაიფურის ლამაზი თოჯინები ამშვენებდა. დედა სულ აფრთხილებდა ბავშვებს:

– ამ თოჯინებს ხელი არ ახლოთ, ფაიფური ადვილად ტყდებაო.

ერთხელ იამ კარადას სკამი მიადგა და ფაიფურის გოგონა ჩამოიღო. ამ დროს ხმაური მოისმა. ია შეკრთა, თოჯინა ხელიდან გაუვარდა და გატყდა. ოთახში მამა შემოვიდა.

– ჩემი ბრალი არ არის. ფისომ ჩამოაგდო, – თავი იმართლა იამ.

– სკამიც ფისომ მიადგა კარადას? – იკითხა მამამ.

იას შერცხვა და თავი დახარა.

როგორ მოიქცა ია?
რატომ შერცხვა მას?
რას იტყვით მისი საქციელის შესახებ?
რას ურჩევდი იას?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ცჳ**.



5 კომპლექსური დავალებები

№1. მოთხრობა „ფაიფურის თოჯინის“ შინაარსის თანმიმდევრულად გადმოცემა ნახატებით

ციფრული რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით ან სახატავი საშუალებებით დახატე სამი სურათი მოთხრობა „ფაიფურის თოჯინას“ მიხედვით:

ერთი ნახატი უნდა ასახავდეს ამბის დასაწყისს, მეორე – შუა ნაწილს, მესამე – დასასრულს. დაალაგე ნახატები

თანმიმდევრობით და მათზე დაყრდნობით ზეპირად გადმოეცი მოთხრობის შინაარსი.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება
- მოთხრობა, გამოიყენე ახალი და საინტერესო სიტყვები;
- რას გვასწავლის მოთხრობა;
- რას მიაქციე ყურადღება ნახატების შექმნისას;

№2. ამბის შეთხზვა „ჯადოსნური სიტყვების“ ძალაზე

მოიფიქრე და დაწერე ამბავი ჯადოსნური სიტყვების ძალაზე.

ამისთვის: გამოკვეთე ამბის დეტალები (მაგ., ვინ არის შენი პერსონაჟი – გოგონა თუ ბიჭუნა; როგორი იყო იგი ამბის დასაწყისში, როგორ ექცეოდა სხვებს და როგორ შეიცვალა იგი ჯადოსნური სიტყვების ძალით);

გამოკვეთე ამბის დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული; წინადადებების შინაარსის გათვალისწინებით, დასვი სასვენი

ნიშნები; შეთხზულ ამბავს შეურჩიე სათაური.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- როგორი აგებულება აქვს შენს ამბავს;
- განსაკუთრებით რომელი დეტალი, რომელი ეპიზოდი მიანიშნებს ჯადოსნური სიტყვების ძალაზე.
- რომელი სიტყვები, წინადადებები მოგწონს ყველაზე მეტად;
- რატომ დაასათაურე ამბავი ასე;
- რატომ დასვი სასვენი ნიშნები ამგვარად.

მოგზაური

ზურიკო დიდი მოუსვენარი ვინმეა. ხან კოსმონავტია, ხან – გემის კაპიტანი, ხან – მეხანძრე, ხან – მძღოლი.

ერთ დღეს თქვა, მოგზაური ვარო, პატარა ზურგჩანთა აიღო და სახლიდან გავიდა.

– ზურიკო დაიკარგა, ზურიკო! – გაისმა ეზოში.

მთელი სახლი ფეხზე დადგა.

მამა ბიჭს ქუჩაში ეძებდა. დედა პოლიციაში რეკავდა. მეზობლები სანაყინესა და სათამაშოების მაღაზიაში დარბოდნენ. ზურიკო არსად ჩანდა.

ბოლოს, იქვე ახლოს, პარკში იპოვეს. თავი ზურგჩანთაზე ედო და ტკბილად ეძინა.

როგორი ბიჭია ზურიკო, როგორ მოიქცა იგი?

მოძებნე და წაიკითხე, სად ეძებდნენ ზურიკოს დედა, მამა და მეზობლები

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ტ**.

ტ კატა ტახტზე ეხტა.

უშიშარი კაპიტანი

ერთ ზღვისპირა ქალაქში პატარა ბიჭი ცხოვრობდა. მამამისი გემის კაპიტანი იყო. ბიჭი მას იშვიათად ხედავდა. მამის ჩამოსვლა დიდი ზეიმი იყო. კაპიტანს შვილისთვის ათასნაირი რამ ჩამოჰქონდა: ნიღბები, ნიჟარები, ხის თოჯინები.

დაჯდებოდა ბუხართან კაპიტანი და ჰყვებოდა საოცარ ამბებს:

როგორ დაუმეგობრდა დელფინს.

როგორ გადაურჩა გემი ქარიშხალს.

როგორ დაეხმარნენ პატარა სელაპს.

როგორ წამოიყვანეს სპილო აფრიკიდან.

ბიჭი ყურადღებით უსმენდა მამას და ოცნებობდა, თვითონაც უშიშარი კაპიტანი გამხდარიყო.

რატომ ხედავდა ბიჭი მამას იშვიათად?
რას უყვებოდა ხოლმე მამა შვილს?
რაზე ოცნებობდა ბიჭი?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო ჯ.

ჯ ჯეჯილი ბიბინებს.

6 კომპლექსური დავალებები

№1. ტექსტის დაკავშირება პირად ცხოვრებასთან

გაიხსენე, ტექსტი „ვინ რას აკეთებს“. წარმოდგენილი პროფესიებიდან რომელი მოგეწონა და რატომ?

შექმენი ნახატი „ჩემი მომავალი საქმიანობა“, ამისთვის გამოიყენე სახატავი საშუალებები ან ციფრული რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“.

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რატომ შეარჩიე ეს პროფესია;
- რატომ არის საჭირო ამდენი პროფესია;
- რა არის მნიშვნელოვანი თითოეული საქმიანობისთვის;
- რა გაიგე ახალი პროფესიების შესახებ, რა იცოდი აქამდე.

№2. მხიარული სათავგადასავლო ამბის შეთხზვა

შეარჩიე მოცემული თემებიდან ერთ-ერთი (როგორ დაუმეგობრდა კაპიტანი დელფინს; როგორ გადაურჩა გემი ქარიშხალს; როგორ დაეხმარნენ მეზღვაურები პატარა სელაპს; როგორ წამოიყვანეს სპილო აფრიკიდან), მოიგონე საინტერესო და სახალისო ამბავი, მოამზადე ილუსტრაციები და შეურჩიე სათაური. შემდეგ ილუსტრაციებზე დაყრდნობით უამბე ეს ამბავი თანაკლასელებს.

ნაშრომის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი;
- მრავალფეროვანი სიტყვები;
- ამბის სხვადასხვა დეტალი.

მეგობრობა

ნუციკო, ეკატერინე და დიმიტრი მეგობრები არიან. ისინი მაღალ სახლში ცხოვრობენ. ლიზა ბებია მათი მეზობელია. იგი მოხუცია და სიარული უჭირს.

ნუციკო, ეკატერინე და დიმიტრი ლიზა ბებიას ეხმარებიან: მაღაზიაში ეგზავნებიან. სახლს ულაგებენ, ჭურჭელს ურეცხავენ.

– თქვენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა, – ამბობს ლიზა ბებია.

ბავშვები საქმეს მოათავებენ და სკამებზე ჩამოსხდებიან. ლიზა ბებია სათვალეს გაიკეთებს და წიგნს გადაშლის. იგი თავის მეგობრებს ზღაპარს წაუკითხავს.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო ჭ.



რატომ ეხმარებიან ბავშვები ბებია ლიზას?
როგორ ეხმარებიან ბავშვები ბებია ლიზას?
რატომ არიან ბებია ლიზა და ბავშვები მეგობრები?

ისაუბრეთ, თქვენ თუ დახმარებიხართ ვინმეს, ვის ეხმარებით და როგორ.
თქვენ თუ გეხმარებიან?
ვინ გეხმარებათ და როგორ?

როგორ უნდა მოექცე მეგობარს

მეგობარი უნდა გიყვარდეს.
მეგობარს უნდა დაეხმარო.
მეგობრისათვის არაფერი არ უნდა დაიშურო.
მეგობართან არ უნდა იჩხუბო.
მეგობარს არ უნდა გაებუტო.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **პ**.



სოფელში

ზამთარია, გარეთ ცივა,
აივანზე თოვლი დევსო,
ეს პატარა ბიჭი ბესო
უთენია ადგა დღესო,
ბებიას რომ არ შესცივდეს,
ღუმელს შეშას უკეთებსო,
თანაც ისეთ ლექსებს ამბობს,
რას მოისმენ უკეთესსო?!

1. წელიწადის რომელ დროზეა საუბარი ლექსში?
2. როგორ ზრუნავს ბესო ბებიაზე?
3. რა სცოდნია კიდევ ბესოს?

ისაუბრეთ, როგორი ბიჭია ბესო.

რომელ წინადადებაში რამდენი სიტყვაა?

ზამთარია. | აივანზე თოვლი დევს. | გარეთ ცივა.

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ჟ**.

ჟ ჟუჟუნა წვიმა მოვიდა.

7 კომპლექსური დავალებები

№1. ჟანრის შეცვლა-მოთხრობა ლექსის საფუძველზე

გადააკეთე მოთხრობად შ. ქავთარაძის ლექსი „სოფელში“.

შენს მოთხრობას დაამატე ახალი დეტალები, მაგალითად: როგორი იქნება ზამთარი შენს მოთხრობაში;

კიდევ როგორ შეიძლება ზრუნავდეს ბესო ბებოზე;

როგორ გაატარებდნენ ზამთრის საღამოებს ბესო და ბებო;

შეგიძლია, შენი ზეპირი მოთხრობა ილუსტრაციითაც გააფორმო.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება მოთხრობა;
- რით არის საინტერესო შენ მიერ დამატებული დეტალები, სიტყვები;
- რას გვასწავლის მოთხრობა;
- რას მიაქციე ყურადღება ილუსტრაციების შექმნისას.

№2. ამბის შეთხზვა მზრუნველ ბავშვზე

მოიფიქრე საინტერესო ამბავი ბიჭზე, რომელიც ზრუნავდა ყველასგან გარიყულ თანაკლასელზე. მოიფიქრე სათაური, მოამზადე ილუსტრაციები და მოჰყევი ამბავს.

თხრობისას წარმოაჩინე:

- რით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა ამბავი
- გამოკვეთე სხვადასხვა დეტალი (მაგ., თანაკლასელის ფიქრები, განცდები, როგორ სწავლობდა ის;
- რა შეიტყო ბიჭმა მის შესახებ, რა გადაწყვიტა, როგორ ზრუნავდა მასზე;
- როგორ დაეხმარა ბიჭი თანაკლასელს პრობლემის გადაჭრაში.

ღრუბელი

მოწყენილია ღრუბელი,
ატირდება და იწვიმებს,
კრუხს აბა ქოლგა რად უნდა,
ფრთებქვეშ იფარებს წიწილებს.
თბილია დედის ბუმბული,
ვერას დააკლებს სიცივე.

რომელი ნახატი და სიტყვა შეეფერება
დღევანდელ ამინდს?

მზიანი **ღრუბლიანი** **თოვლიანი** **წვიმიანი**

დახატე დღევანდელი ამინდის შესაფერისი ნახატი.

რა ფერისაა დღეს ცა?
მზე ანათებს თუ ღრუბლებია?
ხომ არ წვიმს ან ხომ არ თოვს?

დააკვირდი, როგორ იწერება ასო **ჰ**.

ჰ ტასო ჰამაკში წევს.

ოთხი სურვილი

ზამთარი

ზამთარია. ნიკომ იგუნდავა, ციგით ბევრი ისრიალა. მერე გახარებულმა მამასთან მიირბინა და უთხრა:

– უჰ, რა კარგია ზამთარი. ნეტავ, სულ ზამთარი იყოს!

– შენი სურვილი უბის წიგნაკში ჩაწერე, – უთხრა მამამ.

ნიკომ ჩაწერა.

რატომ მოსწონს ნიკოს ზამთარი?

რა ისურვა ნიკომ?

შენ რატომ მოგწონს ზამთარი?

გაიხსენე და ჩამოთვალე ზამთრის თვეები.

წაიკითხე და დაასახელე, რა არ შეეფერება ზამთარს:

არემარე ფაფუკი თოვლით დაიფარა.
ყინავს და სუსხიანი ქარი უბერავს.
ხეები მწვანე ფოთლებით შეიმოსა.
სახურავებს ყინულის ლოლუები დაეკიდა.

გაზაფხული

დადგა გაზაფხული. ნიკომ პეპლებს ბევრი სდია. ყვავილები დაკრიფა და ლამაზი კონები შეკრა. მერე მიირბინა მამასთან და უთხრა:

– რა მშვენიერია გაზაფხული, ნეტავ, სულ გაზაფხული იყოს!

მამამ ნიკოს ეს სურვილიც უბის წიგნაკში ჩააწერინა.

რატომ მოსწონს ნიკოს გაზაფხული?
რა ისურვა ნიკომ?
შენ რატომ მოგწონს გაზაფხული?

გაიხსენე და ჩამოთვალე გაზაფხულის თვეები.

წაიკითხე და დაასახელე, რა არ შეეფერება გაზაფხულს:

ჯეჯილი ბიბინებს.
ყურძენი დამწიფდა.
ხეები აყვავდა.
მერცხლები მოფრინდნენ.

ზაფხული

მოვიდა ზაფხული. ნიკო და მამამისი სამკალში წავიდნენ. ნიკომ ძალიან იმხიარულა. ხან მამას ეხმარებოდა, ხან მდინარეში ბანაობდა, ხან მარწყვს კრეფდა.

საღამოს მამასთან მივიდა და უთხრა:

– რა კარგი იქნებოდა, მუდამ ზაფხული რომ იყოს!

მამამ ნიკოს ეს სურვილიც უბის წიგნაკში ჩააწერინა.

რატომ მოსწონს ნიკოს ზაფხული?
რა ისურვა ნიკომ?
შენ რატომ მოგწონს ზაფხული?

ზაფხულის თვეებია: **ივნისი, ივლისი, აგვისტო.**

რომელია ზედმეტი და რატომ?

ივნისი	ივლისი	მაისი	აგვისტო

წაიკითხე და დაასახელე, რა არ შეეფერება ზაფხულს:

თაკარა მზე აცხუნებს.
ცივი ქარი ქრის.
ბავშვები მხიარულად ატარებენ არდადეგებს.
ნესვი და საზამთრო დამწიფდა.

შემოდგომა

დადგა შემოდგომა. ბაღები მწიფე ხილით აივსო. ყურძენიც დამწიფდა. რთველმა ძალიან მხიარულად ჩაიარა.

ნიკო ხან ხილს კრეფდა, ხან აკიდოებს ჭრიდა.

საღამოს ნიკომ მამას უთხრა:

– შემოდგომა ყველა დროს სჯობიაო.

მაშინ მამამ უბის წიგნაკი მოიტანა და ნიკოს მისი ყველა სურვილი წააკითხა.

ნიკო მიხვდა, რომ წელიწადის ყოველი დრო თავისებურად მშვენიერია.

რატომ მოსწონს ნიკოს შემოდგომა?
რა უთხრა ნიკომ მამას?
რას მიხვდა ნიკო?
რომელია შემოდგომის თვეები?

რა არ შეეფერება შემოდგომას:

მოსავალს იღებენ და აბინავებენ.
ფრინველები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ.
მინდორში ენძელები და იები ამოდის.
ხეებს ფოთლები სცვივა.

დააკვირდი ნახატს: ყურძნის მტევანი ვაზის ტოტიანად არის მოჭრილი. ამგვარად მოჭრილ მტევანს აკიდო ჰქვია.

წელიწადი

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი, –
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადიც მზად არის.

წელიწადის დროები

წელიწადში ოთხი დროა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

წელიწადში თორმეტი თვეა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

აღწერე სურათები და გვიამბე ვაშლის ხის თავგადასავალი:



8 კომპლექსური დავალებები

№1. ილუსტრაციის შექმნა წელიწადის ოთხ დროზე

მოთხრობა „ოთხი სურვილის“ მიხედვით შექმენი ოთხსცენიანი ილუსტრაცია წელიწადის დროებზე, ამისთვის გამოიყენე ციფრული რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“. ნამუშევარი დაასათაურეთ.

ნაშრომში წარმოაჩინე:

- რით უკავშირდება შენი ილუსტრაციები მოთხრობას. რას მიაქციე ყურადღება ილუსტრაციების შექმნისას;
- რომელი ეპიზოდი მოგეწონა ყველაზე მეტად, რატომ; რას გახსენებს იგი;
- როგორ და რით უკავშირდება შენი სათაური მოთხრობის შინაარსს;
- რატომ დაასათაურე შენი მოთხრობა ამგვარად.

№2. ამბის მოგონება და გადმოცემა სურათზე დაყრდნობით „გაზაფხულიდან გაზაფხულამდე“

დააკვირდი ოთხივე სურათს, ამ სურათებზე დაყრდნობით მოიფიქრე და გადმოეცი, როგორ მოჰყვებოდა ვაშლის ხე თავის ამბავს.

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რა მოხდა გაზაფხულიდან გაზაფხულამდე – რას ფიქრობს, რას გრძნობს ვაშლის ხე წელიწადის სხვადასხვა დროს; რისი იმედი აქვს ვაშლის ხეს ზამთარში, რას ელის იგი; რა მოსდის, როგორ იცვლება ხე;

№3. წელიწადის დროების შედარება მახასიათებლების ცხრილზე დაყრდნობით.

წერილობით შეავსე მახასიათებლების ცხრილი და მასზე დაყრდნობით ზეპირად შეადარე წელიწადის ორი დრო ერთმანეთს.

თხრობისას წარმოაჩინე:

- რა მსგავსება და განსხვავებებია წელიწადის ამ ორ დროს შორის;
- გამოიყენე მრავალფეროვანი სიტყვები;
- რის მიხედვით შეადარე ეს ორი დრო ერთმანეთს.

სარჩევი

წინასაანბანო მასალა

1. პირველი დღე სკოლაში **3**
2. ჩვენი გაკვეთილები **6**
3. კლასელები **9**
4. ჩვენი ოჯახი **10**
5. ჩვენი ოჯახის განსხვავებული წევრები **11**
6. სიკეთე და ბოროტება ზღაპრებში **12**
ჩვენი სახელმძღვანელო პირობითი ნიშნები 13
ქართული ანბანი 14

საანბანო მასალა

1. თამაში (საანბანო ნაწილი - ა,ი,დ, ე, მ, ს) **16**
ა,ი 16
დ,ე 18
მ,ს 21
2. ზრუნვა (საანბანო ნაწილი- რ,ჩ,ვ,ნ, ზ,ო) **24**
რ,ჩ 24
ვ,ნ 27
ზ,ო 30
ჩვენი ეზო 32
3. ახალი წელი (საანბანო ნაწილი -თ,შ,ბ,უ,კ,ლ) **33**
თ,შ 33
დიდედა მაშოს თონე 35
ბ,უ 36
ზამთარი 38
კ,ლ 39
დაჩის სკოლა 41
4. ჩემი თავისუფალი დრო (საანბანო ნაწილი-პ.გ.ც,წ,ხ,ფ) **42**
პ,გ 42
ზოოპარკი 44
დაჩის ნაამბობი 44

ც,წ 45
პირველი წერილი 47
ხ,ფ 48
ჩვენი ეზოს გუნდი 50
პირველი თამაში 50
5. მეგობრობა (საანბანო ნაწილი-ქ,ყ,ძ,ღ,ჯ,ტ) **51**
ქ,ყ 51
მეგობრები 52
ძ.ღ 54
დაბადების დღე 55
ჯ.ტ 57
ახალი მეგობარი 58
6. კითხვა-წიგნის სამყარო (საანბანო ნაწილი-ჟ, ჭ, ჰ) **60**
ჟ 60
პირველად თეატრში 61
ჭ,ჰ 63
ვაშა, ჩვენ კითხვა ვიცით! -ი. გოგებაშვილი 64
ფისო ცაცას მეგობრები 65
ბავშვის სათვალე -ი. გოგებაშვილი 68

ანბანის შემდგომი მასალა

1. სწავლის მნიშვნელობა **69**
სკოლისაკენ ჰერი,ჰერი! - ი. ევდოშვილის 69
დილა ჩვენს ეზოში 70
ჩიტის ბუდე - ნ. ნაკაშიძე 72
2. თამაშით სწავლა **75**
წითელი და მწვანე - პ. მამფორია 76
ტყუპები ე. რაუნდის მიხედვით 77
3. გაზაფხული **82**
თებერვალო, თებერვალო -გ. ჭიჭინაძე 82
ენძელა - ი. გოგებაშვილი 84
4. დედის დღე **87**

ყველაზე ლამაზი დედიკო - ი. გოგებაშვილი 87
დედის დღე 89
5. პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე 92
ხატვის გაკვეთილზე 92
სიტყვის ძალა 93
ფაიფურის თოჯინა 95
6. ჩვენი სურვილები-პროფესიები 97
მოგზაური 97
უშიშარი კაპიტანი - მ. ბოლქვაძის მიხედვით 98
7. მეგობრობა და ზრუნვა 100
მეგობრობა 101
სოფელში - შ. ქავთარაძე 102
8. წელიწადის ოთხი დრო 104
ღრუბელი 104
ოთხი სურვილი - ი. გოგებაშვილი 105
წელიწადი 110
წელიწადის დროები 111

სარჩევში ავტორების დაუსახელებლად წარმოდგენილი ტექსტები ეკუთვნით სახელმძღვანელოს შემდგენლებს.